



# ფესტივალი

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი \* № 5 (80) 20 ივნისი 2013 წელი

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

90 იუბილე / ANNIVERSARY

SHOTA RUSTAVELI THEATRE AND FILM GEORGIA STATE UNIVERSITY

თბილისის საერთაშორისო სტუდენტური კინოფესტივალი  
Tbilisi International Student Film Festival

თბილისი 3-7 ივნისი

## ივნისი 3-7 JUNE

### მხარდამფერები / SUPPORTERS



### მედიის მხარდამფერები / MEDIA PARTNERS





## თბილისის მემ-7 საერთაშორისო სტუდენტური კინოფესტივალის ბამარჯვებულები გამოვლინდნენ

თბილისის მერიის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით 3 ივნისს თბილისის მემ-7 საერთაშორისო სტუდენტური კინოფესტივალი „ამირანი“ გაიხსნა, რომლის გამარჯვებულები 7 ივნისს, ფესტივალის დახურვის საღამოს გამოვლინდნენ.

### 2013 წლის „ამირანის“ გამარჯვებულები:

საუკეთესო მხატვრული ფილმისთვის  
ელმარ იმანოვი (გერმანია) Elmar Imanov – **The Swing of the Coffin Maker**

საუკეთესო დოკუმენტური ფილმისთვის  
ზაზა ნოზაძე (საქართველო) – მერაბ დუკაშვილი

საუკეთესო ანიმაციური ფილმისთვის  
პიტერ ვატცი (უნგრეთი) Peter Vacz – **Rabbit and Deer**

ჟიურის სპეციალური პრიზი:  
ემანუელ ნიკო (ბელგია) Emmanuelle Nicot – **Rae**  
ზურაბ დემეტრაშვილი (საქართველო) – გზაჯვარედინი

სტუდენტური ჟიურის სიმპათია:  
სოსო ბლიაძე (საქართველო) – ყველაზე ძვირფასი

სპეციალური აღნიშვნა:  
სოსო ბლიაძე (საქართველო) – ყველაზე ძვირფასი  
გიდეონ ლატცმანი (ისრაელი) Gideon Latzman – **Budke**  
ბრაიან ოტუელი (ბრიტანეთი) Brian O'Toole – **Sunday Morning**  
იზუმი იოშიდა (პოლონეთი) Izumi Yoshida – **KIGO**

სპეციალური დიპლომა:  
საუკეთესო ხმოვანი რიგისთვის  
დანა აგელეუოვა, ვასილი დერგაჩოვი (ყაზახსტანი) Dana Ageleuova, Vassiliy Dergachyov – **White Flies**

საუკეთესო ოპერატორული ნამუშევრისთვის  
ლევან სიხარულიძე (საქართველო) – თითქოს აქ იყო ზღვა

საუკეთესო მონტაჟისთვის  
ნირ საარი და მაია სარფატი (ისრაელი) Nir Saar and Maya Sarfaty – **Heavy Duty**

საუკეთესო რეჟისურისთვის  
კაურ კოკი (ესტონეთი) Kaur Kokk – **Last Call**

დაჯილდოების ცერემონიაზე ნაჩვენები იყო წლევანდელი ONE SHOT MOVIE პროექტის ფილმები და გამოვლინდნენ გამარჯვებულები ოთხ მთავარ ნომინაციაში: საუკეთესო მხატვრული, დოკუმენტური და ანიმაციური ან ექსპერიმენტული ფილმი, ასევე – ჟიურის სპეციალური პრიზი. ნომინაციებთან ერთად, სპეციალური დიპლომები გადაეცათ სტუდენტებს – საუკეთესო რეჟისურისთვის, ხმოვანი რიგისთვის, ოპერატორის ნამუშევრისთვის და მონტაჟისთვის. ასევე სპეციალური აღნიშვნა დაიმსახურა რამდენიმე სტუდენტის ფილმმა.

2013 წლის ფესტივალში, რომელიც საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის 90 წლის იუბილეს ფარგლებში მოეწყო, 36 ქვეყნის კინოსკოლის 61-მა ფილმმა მიიღო მონაწილეობა, მას 25-მდე უცხოელი სტუდენტი და

ჟიურის წევრი სტუმრობდა მსოფლიოს 14 ქვეყნიდან, მათ შორის ისრაელიდან, ჩინეთიდან, ავსტრალიიდან, აზიისა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან.

სუთდლიანი ფესტივალის ფარგლებში გაიმართა ჟიურის წევრების მასტერკლასები: კლაუდია მესემერი (Claudia Messemer, Germany) – კინოსცენარების განვითარება; ლესზეკ დავიდი (Leszek Dawid, Polan) – კინორეჟისურა; გიულენ გულერი (Gulen Guler, Turkey) – კინომარკეტინგი; ირინა რომანჩენკო (Irina Romanchenko, Ukraine) ძალიან საინტერესო რარიტეტული ფილმის ჩვენება გამართა.

ფესტივალმა უმასპინძლა სამხატვრო აკადემიის ექსპერიმენტულ მოღურ პროექტს. სპეციალურად ამ პროექტისათვის შექმნილი Paper Art წარმოადგენდა სხვადასხვა ფილმის ვიზუალურ მხარეს, მუსიკალური გაფორმება კი ფილმის „ადამიანი ორკესტრის“ საუნდთრეკი გახლდათ. ჩვენებაში მომავალი მსახიობებიც მონაწილეობდნენ.

ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით და რეჟისორ გიორგი ხარებავას ხელმძღვანელობით წელს მესამედ განხორციელდა პროექტი ONE SHOT MOVIE, რომელიც ფილმის ერთი უწყვეტი კადრით გადაღებას გულისხმობს. ეს პროექტი აერთიანებს ფესტივალის უცხოელ და ქართველ სტუდენტებს, რომლებიც კო-პროდუქციას ქმნიან სხვადასხვა თემაზე.

**ფესტივალის მხარდამჭერები** – თბილისის მერია, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი, თბილისის სამხატვრო აკადემია, გოეთეს ინსტიტუტი, პოლონეთისა და ისრაელის საელჩოები საქართველოში.

ფესტივალის პარტნიორები – კონიაკი „სარაჯიშვილი“, ყავა „პელე“, „ნაბელაფი“.

მედია პარტნიორები – გაზეთები „24 საათი“ და GEORGIA TODAY, ჟურნალი „ფოკუსი“, რადიო „ფორტუნა“, საინფორმაციო სააგენტო GHN, ტელეკომპანიები MusicBox და „რუსთავი2“.

**მაღალი რეიტინგის პროფესორ-მასწავლებლები  
2012 – 2013 სასწავლო წელის  
სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების მიხედვით**

**ჰუმანიტარულ, სოციალურ სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტები**

რეიტინგი 90%-ზე ზევით:

1. **მანანა პაიჭაძე**, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
2. **ნატო ბენბიშიძე**, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, სრული პროფესორი
3. **ბიორბი ცხიტიშვილი**, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, სრული პროფესორი
4. **თეო ხატიაშვილი**, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

რეიტინგი 80-დან 90%-მდე:

1. **ბიორბი გვახარია**, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, სრული პროფესორი
2. **ზვიად დოლიძე**, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, სრული პროფესორი
3. **ქეთევან ტრაპაიძე**, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
4. **თამარ ბოკუჩავა**, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, სრული პროფესორი
5. **ეკატერინე კიკნაძე**, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
6. **ანანო სამსონაძე**, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
7. **მაღნაზ ღვინჯილია**, გეოგრაფიის დოქტორი, სრული პროფესორი
8. **ნათია კოპალეიშვილი**, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
9. **ნაირა ღვინჯილია**, ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

**ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებათა,  
ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის  
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური**



## სტუდენტთა VI სამეცნიერო კონფერენცია თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში



15 მაისს საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა სტუდენტთა VI სამეცნიერო კონფერენცია. მონაწილეობდნენ თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის, სამხატვრო აკადემიის, კონსერვატორიის, ტექნიკური უნივერსიტეტის და სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები, რომლებიც ხელოვნების სხვადასხვა დარგის ისტორიის და თეორიის შესწავლით არიან დაკავებული. წელს კონფერენციაზე იმუშავა ხელოვნებათმცოდნეობის, მუსიკისა და თეატრმცოდნეობის, კინოსა და მედიის სექციებმა. სექციებს ხელმძღვანელობდნენ თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის პროფესორები: თამარ ბოკუჩავა, ნატო გენგიური, ნანა დოლიძე, მაია გოშაძე, ეკატერინე კიკნაძე. ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებმა წარმოადგინეს მოხსენებები ხელოვნების ისტორიისა და თანამედროვეობის საკითხებზე. მოხსენებების წაკითხვის შემდეგ სტუდენტები კითხვებს უსვამდნენ მომხსენებლებს, იმართებოდა დისკუსია, წარმოდგენილი თემის ირგვლივ აზრის გამოთქმა. კონფერენციით ყველა კმაყოფილი დარჩა – სტუდენტებიცა და პედაგოგებიც. სტუდენტებს, რომლებმაც მოხსენებები წარმოადგინეს გადაეცათ სიგელები.

კონფერენციის ორგანიზატორია თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სრული პროფესორი **ნატო ბენდიშვილი**, ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი. მან

საფუძველი ჩაუყარა ჩვენ უნივერსიტეტში ყოველწლიურ კონფერენციებს არა მარტო პროფესორ-მასწავლებლებისთვის, არამედ სტუდენტებისთვისც. მას და კონფერენციის მონაწილეებს ვთხოვეთ აზრი გამოეთქვათ კონფერენციის მნიშვნელობის შესახებ.

**ნატო გენგიური, ორგანიზატორი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი:**

– ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტების კონფერენცია ჩვენ უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება. მას ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტზე ჩაეყარა საფუძველი. პირველი კონფერენცია 2008 წელს გაიმართა. კონფერენციამ რეგულარული ხასიათი მიიღო და ტარდება ყოველ წელს. წლებანდელი სამეცნიერო კონფერენცია რიგით მეექვსეა. კმაყოფილი ვარ წელს კონფერენციაზე წარმოდგენილი თემებით. მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ თემები მრავალფეროვანი იყო და ხელოვნების ყველა დარგს ეხებოდა: კონფერენციაზე იმუშავა ხელოვნებათმცოდნეობის, მუსიკისა და თეატრმცოდნეობის, კინოსა და მედიის სექციებმა. მოხსენებები მიეძღვნა ხელოვნების ისტორიისა და თანამედროვეობის აქტუალურ საკითხებს. ამგვარი სტუდენტური ფორუმების მნიშვნელობა დიდია, რადგან ის სტუდენტებს ხელს უწყობს სწავლასა და წინსვლაში; საშუალებას აძლევს მათ წარმოაჩინონ საკუთარი თავი და გაეცნონ თანატოლების მიღწევებს, მონაწილეობა მიიღონ დისკუსიაში დაამყარონ სტუდენტური კავშირები.

**მაია მილაშვილი, არქიტექტურის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი:**

– საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული სტუდენტთა წლებანდელი კონფერენცია უკვე ექვსწლიან ტრადიციას მოიცავს. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის მაგისტრანტები წელს პირველად იღებენ მონაწილეობას ამ კონფერენციაში, რაც უდაოდ ორგანიზატორის ქალბატონ ნატო გენგიურის დიდი დამსახურებაა. მაგისტრანტებმა წარმოადგინეს

საინტერესო მოხსენებები არქიტექტურის თანამედროვე მიმდინარეობის შესახებ. კერძოდ, მაგისტრანტმა შოთა გელაშვილმა თავის მოხსენებაში „დეკონსტრუქტივიზმი – მოწესრიგებული ქაოსი“ თანამედროვე არქიტექტურის მაგალითების საფუძველზე, საინტერესოდ ისაუბრა ამ მიმდინარეობის მხატვრულ, იდეურ და ფილოსოფიურ არსზე. ვფიქრობ, არანაკლებ საინტერესო იყო მაგისტრანტ რუსუდან აბზიანიძის მოხსენება „ფრენკ ლოიდ რაიტი – ადამიანი, რომელმაც გაუსწრო დროს“, სადაც ავტორის მიერ საკმაოდ მრავალმხრივია გაანალიზებული მე-20 საუკუნის ერთ-ერთი ცნობილი არქიტექტორის შემოქმედებითი გზა და მისი შემოქმედების ის საეტაპო პროექტები, რომელმაც მიმართულება მისცა თანამედროვე არქიტექტურის შემდგომ განვითარებას. აღსანიშნავი და მისასალმებელია ის ფაქტი, რომ კონფერენციაში მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტები, რაც უდავოდ ხელს უწყობს უნივერსიტეტებს შორის სამეცნიერო და შემოქმედებითი კავშირების გაფართოებას. რაც თავისთავად მრავალსმეტყველი ფაქტია.

**მაია კომახიძე, სასულიერო აკადემიის სტუდენტი:**

– კონფერენცია მნიშვნელოვანია იმ მხრივ რომ, პირველ რიგში სტუდენტები იღებენ გამოცდილებას. შემდეგ კი, რაც ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, წამოიჭრება პრობლემური საკითხები, რაზეც შემდეგ უნდა გაერთიანდნენ და ერთად იმუშაონ. ასეთი კონფერენციები საშუალებას იძლევა, წამოიწიოს მთავარი პრობლემები, ჩემი თემაც ამას ეხებოდა და მთავარი მიზანი ეს იყო, რომ წამომეჭრა პრობლემა, რომლის გადაწყვეტაზეც იმედია მომავალში ერთად ვიმუშავებთ.

**ნოდარ არონიშიძე, სტუდენტი, აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სამხატვრო აკადემია:**

– კონფერენციის მნიშვნელობა და მთავარი დანიშნულება ზოგადად და ამ შემთხვევაშიც არის ის გამოცდილება, რომელსაც სტუდენტი იღებს. დიდი გამოცდილება არ მაქვს, მაგრამ ვთვლი, რომ კონფერენციები წარუშლელ კვალს ტოვებს, გვეხმარება შემდეგი კონფერენციებისთვისაც და შემდეგ უკვე კვლევებისთვისაც.

**შოთა გელაშვილი, სტუდენტი,**

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი:**

– კონფერენციებში მონაწილეობას ხშირად ვიღებ, ჩვენს სასწავლებელშიც და ასევე საზღვარგარეთაც. წელს იტალიაში, დელ ბიანკოს ფონდის კონფერენციასა და ვორკშოფში მივიღეთ მონაწილეობა. ვთვლი, რომ ძალიან მნიშვნელოვანია კონფერენციების ჩატარება, პირველ რიგში, ეს არის გამოცდილება, რომელიც, ასევე ხელს უწყობს სხვადასხვა უნივერსიტეტის ერთმანეთთან დაახლოებას.

**რატი ჩიქვინიძე, სტუდენტი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი:**

– კონფერენციებზე სტუდენტი იღებს ცოდნას. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი არა მარტო სტუდენტებისთვის, არამედ ხელმძღვანელებისთვისაც. სტუდენტები ეცნობიან სხვადასხვა ნაშრომს, მიმდინარეობს პროფესიული საუბარი ამა თუ იმ თემაზე.

**თამარ მესხიძე, სტუდენტი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი:**

– კონფერენციები ძალიან მნიშვნელოვანია, ჩვენთვის ეს არის წინსვლისკენ გადადგმული ნაბიჯი. მომავალშიც აუცილებლად მივიღებ მონაწილეობას მსგავს კონფერენციებში.

**თამარ ბოკუჩავა, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი:**

– ძალიან მნიშვნელოვანია კონფერენციების ჩატარება. სტუდენტებს ეძლევათ საშუალება გამოცდილება მიიღონ, შეიძინონ კვლევითი უნარი, წარადგინონ მოხსენება აუდიტორიის წინაშე. მნიშვნელოვანია, რომ მათ შეუძლიათ ცოცხალ კონტაქტში შევიდნენ აუდიტორიასთან, გასცენ კითხვებზე





პასუხი. კონფერენციებში მონაწილეობა მათ საშუალებას აძლევს გაეცნონ სხვა ჰუმანიტარული პროფესიების, სხვა დარგების წარმომადგენლების მოხსენებებსაც, რაც მეტად მნიშვნელოვანია.

**ანი კლდიაშვილი ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სამხატვრო აკადემიის სრული პროფესორი:**

– მივესალმები იმ გადაწყვეტილებას, რომ ყოველ წელს ტარდება სტუდენტური კონფერენცია. ეს არის უდიდესი

გამოცდილება, რომელიც სტუდენტს ესმარება სამომავლო საქმიანობაში. კონფერენციები მნიშვნელოვანია არამარტო სტუდენტებისთვის, არამედ პედაგოგებისთვისაც. ამიტომ დიდი მადლობა ყველას, ვინც ორგანიზება გაუწია მის ჩატარებას და მონაწილეობა მიიღო სტუდენტურ კონფერენციაში.

მომამზადა ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალობის III კურსის სტუდენტმა **სალომე თოფურიაშვილმა**

## ვალერი მარგიანი XX საუკუნის 70-იანი წლების „მთის მხატვარი“ (1941-2003)



ვალერი მარგიანი XX საუკუნის 70-იანი წლების მხატვართა ჯგუფს მიეკუთვნება. მის შემოქმედებაში ძირითად, და შეიძლება ითქვას, განმსაზღვრებელ უანრს მთის პეიზაჟი წარმოადგენს, ხოლო ტექნიკას – ზეთის საღებავები.

ვალერი მარგიანის შემოქმედებაში პეიზაჟი მრავალფეროვნებით ხასიათდება, ფართოდ მოიცავს საქართველოს ბუნებას, ისტორიას, საბჭოთა სინამდვილეს (მაგ. „წითელი არმიის შესვლა დაღესტანში“). მის ნამუშევრებში თემატურად შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ჯგუფი – არქიტექტურული პეიზაჟი, სოფლის პეიზაჟები, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეს ასახავს.

XX საუკუნის 60-70-იანი წლები ხომ მნიშვნელოვანი ძვრებით გამოირჩევა ქართულ ხელოვნების ისტორიაში. ასპარეზზე გამოდის მხატვრების ახალი თაობა, ფერწერა თანდათან თავისუფლდება ხელისუფლების

ჩარჩოებისგან. ყალიბდება აკადემიური სკოლა, რომელსაც ეფუძნება თანამედროვე ხელოვნება.

ცენზურის შერბილებამ ახალი მისწრაფებები აღძრა, ხელოვანებს უფლება მიეცათ უფრო ბუნებრივები გამხდარიყვნენ და მშობლიურ ფესვებს დაბრუნებოდნენ. თანდათან მეტი ყურადღება ეთმობა ყველაფერს ეროვნულს.

ვალერი მარგიანის შემოქმედებითი სახის ჩამოყალიბებაში, როგორც მთის პეიზაჟის, დიდი გავლენა მოახდინა ბავშვობაში მიღებულმა შთაბეჭდილებებმა. სვანეთში გატარებულმა ბავშვობის წლებმა, მშობლიური ბუნების სილამაზემ და მრავალფეროვნებამ განსაზღვრა მისი მიდრეკილება პეიზაჟებისადმი. სვანეთის, ფშავ-ხევსურეთის, ქისტეთის, ყაბარდო-ჩეჩნეთის ისტორიული-არქიტექტურული პეიზაჟი მისი შემოქმედების მნიშვნელოვან თემად რჩება, მაგ.: „შატილი“, ტილო, ზეთი, 1994, „ქისტეთი“, მუყაო, ზეთი, 1986, „თუშეთი“, ტილო, ზეთი, 1973, „სვანეთი“, მუყაო, ზეთი, 1994 და სხვ.

ვალერი მარგიანი დაიბადა 1941 წლის 14 ნოემბერს, მუღახში (სვანეთი), სწორედ აქ გაატარა ბავშვობის წლები, აქვე სწავლობდა სკოლაში. შემდეგ გადმოვიდა თბილისში საცხოვრებლად, სადაც ი. ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის დასრულების შემდეგ, სწავლა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში განაგრძო ფერწერის ფაკულტეტზე, უჩა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით. ასპირანტურაში

სწავლის შემდეგ მალევე გახდა მხატვართა კავშირის წევრი. ასევე, იუნესკოსთან არსებული, მხატვართა საერთაშორისო გაერთიანების წევრი. აქტიურად იყო ჩაბმული საქართველოს, იმდროინდელი საბჭოთა კავშირის ფარგლებში და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე საგამოფენო ცხოვრებაში. მონაწილეობა მიიღო 1990 წელს ქუთაისში გამართულ საერთაშორისო გამოფენაში, ასევე, მოსკოვის ტრეტიაკოვის გალერეაში მიმდინარე გამოფენაში, სადაც დაცულია მისი ერთ-ერთი ნამუშევარი. 1987 წელს გ. მარგიანის რამდენიმე ტილო გამოიფინა იაპონიაში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე, რომელზეც იგი ოქროს მედლით დააჯილდოვეს.

მარგიანის ნამუშევრები მონუმენტურ ხასიათს ატარებს, შემუშავებული აქვს თავისი ფერწერული სტილი. ახასიათებს მონასმის სიფაქიხესა და გამჭვირვალობასთან შერწყმული მონუმენტურობა. კარგად ფლობს კოლორიტს, ფერით სვამს აქცენტებს და ამჟღავნებს ამინდის თუ გარემოს შთაბეჭდილებებს.

ადრეულ ეტაპზე, სტუდენტობის დროს შესრულებულ ნამუშევრებში გამოსახულებები უფრო დეტალიზირებულია, რეალური ფორმებით. შემდეგი პერიოდის კი უფრო პირობითი ხდება. ფუნჯის ფართო მონასმებით სვამს აქცენტს და აკეთებს მინიშნებებს. შორიდან დანახულ პეიზაჟს გამოხატავს. მაგალითად თვალში უცებ მთა გხვდება და მხოლოდ დიდი ხნის დაკვირვების შემდეგ აღიქვამ კოშკებს, სახლებს...



ადრეულ ეტაპზე, აკადემიაში სწავლის პერიოდში მხატვრის შემოქმედების თემატიკა ეხმაურება იმ პერიოდის პოლიტიკურ მოვლენებსაც საბჭოთა კავშირს და ხელისუფლებას მაგ.: „საბჭოთა ხელისუფლების დამყარება“ და „წითელი არმიის შესვლა დაღესტანში“.

შემდეგ პერიოდში თავისუფლდება ჩარჩოებისგან, ძიების პროცესში უყალიბდება ინდივიდუალური ფერწერული სტილი: ხედვის წერტილი, რაკურსი, კოლორიტი, ძირითადად მწვანე, ლურჯი, თეთრი ტონები. ფუნჯის მონასმები ზოგან წერტილოვანია, ზოგან სუფთა, კლასიკური სტილის, ზოგან კი ფართო მონასმებით. მის შემოქმედებაში იმპრესიონიზმის ნიშნებიც შეინიშნება.

მის შემოქმედებაში შეიძლება ორი ეტაპი გამოვყოთ – ადრეული 1970-85-იანი წლები („თუშეთი“, ტილო, ზეთი, 1973, „დაღესტანი“, ტილო, ზეთი, 1975, „თუშეთი“, ტილო, ზეთი, 1990) და გვიანი – 1985-2000-იანი წლები („დაღესტანი“, ტილო, ზეთი, 1985. „ქისტეთი“, მუყაო, ზეთი. 1986. „ნისლი“, ტილო, ზეთი, 1988. „სალოცავი, შესანდობარი“, ტილო, ზეთი, 1993. „მატილი“, ტილო, ზეთი, 1994. და სხვ.). შემორჩენილი ნამუშევრების ძირითადი ნაწილი 1990-97 წლებში აქვს შექმნილი. ადრეულ, „ძიების“ პერიოდში შეინიშნება ხელმძღვანელის – უჩა ჯაფარიძის მსუბუქი გავლენა, ფერით, ფიგურების გამოსახულებით



(მაგ. სადიპლომო ნამუშევარი – „თუშეთი“, ტილო, ზეთი, 1973 წ.). შემდეგ უკვე უყალიბდება ინდივიდუალური მანერა.

მხატვარი ნამუშევრებს ქმნის ნატურიდან, გამოსახავს პეიზაჟის მონაკვეთებს სხვადასხვა რაკურსით, აინტერესებს გადმოსცეს წლის ამა თუ იმ დროის ხასიათი ბუნებაში, განათებით, ფერით. მაგ. „ნისლი“. არქიტექტურული პეიზაჟი კომპოზიციური გადაწყვეტითაა ხაზგასმული. წინა პლანზე, მარჯვენა მხარეს გამოსახულია მაღალი კოშკები, რომლის ფონსაც ცამდე აზიდული მთები ქმნის. ნისლიანი დღის განწყობა გამოხატულია მწვანესთან შეპირისპირებული თეთრი საღებავების კონტრასტით.

იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პლენრზე მუშაობას, ბუნებაში. ადგილზე მიღებული შთაბეჭდილების და ემოციების გადმოცემას, რასაც შემდეგ სხვადასხვა მხატვრული ხერხის გამოყენების უზადო პროფესიონალიზმით აღწევს.

ყველაზე ნაყოფიერი მარგიანის შემოქმედებაში, სიცოცხლის ბოლო წლებია. მთის პეიზაჟების გვერდით ჩნდება აბსტრაქცია, რაც იმაზე მეტყველებს რომ მხატვარი ახალ ეტაპზე გადადიოდა.

ბოლო ნამუშევრებიდან აღსანიშნავია უსათაურო სურათი, რომელიც სუფთა აბსტრაქტული ნამუშევარია, დატვირთული სიმბოლიკით:

„აბსტრაქცია“, 1993 წელი, ტილო ზეთი. (სურ. 7.) ფერწერული ტილო ქაოსს ქმნის, ერთი შეხედვით არ აღიქმება გამოსახულებები. შემდეგ თვალი ეჩვევა და ყურადღებას იქცევს ტილოს დაბლითა მარცხენა კუთხეში გამოსახული, სავარაუდოდ, ურმის ბორბალი, მასზე გადებული ფიცრით, რომელშიც ორი ღურსმანია ნახევრად გაყრილი, დახრილადაა გამოსახული, მიმართული ცენტრისკენ, სადაც, თითქოს ფერდობზე შეფენილია ხალხის



ბრბო. მოქმედება მიემართება ქვემოდან ზემოთ. ხალხის მოგრძო, თხელი ფიგურები შავ სამოსშია წარმოდგენილი. შიგადაშიგ ფუნჯის ერთი მონასმით დადებული წითელი საღებავები ამბოფრებენ დაძაბულ განწყობას. ბრბოს ცენტრში მკვეთრად გამოიყოფა თეთრ სამოსში გამოწყობილი ადამიანის ფიგურა, რომელსაც გარს ერტყმის ხალხი. ზედა მარცხენა და მარჯვენა კუთხიდან მისკენ ხალხი მიემართება. მარცხენა მხარეს, თუ კარგად დავაკვირდებით, ცხენის ფიგურებიც გაირჩევა. უდიერად ჩამოსხმული თეთრი საღებავი, აქა იქ ფუნჯის უხეში მონასმები, მწვანე, ცისფერი ტონები ცივ გარემოს ქმნის. შიშის, დაძაბულობის, ქაოსურობის შთაბეჭდილება იქმნება, ხალხი თითქოს ცდილობს გაექცეს მოვლენას და თავს იყრის წინამძღვრისკენ ისე, როგორც მთაში ხვეისბერისკენ მიმავალი ხალხი. ბორბალი, შავი, წითელი ტონები თითქოს მოსალოდნელ საშიშროებისკენ მიგვანიშნებენ. ცენტრში მდგომი თეთრი ადამიანის ფიგურა კი წინ მოიწვევს მშვიდი პოზით. ბორბალთან მცენარეული მოტივებია წარმოდგენილი. მარჯვენა განაპირა მხარეს, ცენტრში მთის პეიზაჟი მოჩანს, ცისფერი მოწმენდილი ცით. ზემოთ თეთრი შენობა, სავარაუდოდ სალოცავი. ამ ერთ ტილოზე შეპირისპირებული და თავმოყრილია ქაოსი, ამქვეყნიური ცხოვრება, ერთ მხარეს მშვიდი პეიზაჟი, მეორე მხარეს დაძრული ბორბალი, რომელიც თითქოს შეკრებილი ხალხის თავზე ტრიალებს, ცენტრში მსხნელი, ზემოთ კი სალოცავი, ხალხის მფარველი. შესაძლოა ამ სურათში წარმოდგენილია მხატვრის განცდა, რომელზეც იმოქმედა იმდროინდელ საქართველოში შექმნილმა მდგომარეობამ.

ვალერი მარგიანი ბევრს მოგზაურობდა საქართველოს მთიანეთში. ბუნებასთან





სიასლოვით მიღებული შთაბეჭდილებები ესკიზების სახით ჩამოჰქონდა თბილისში, რომლებსაც აცოცხლებდა თავის ფერწერაში და უზიარებდა მნახველს. ფორმებით, ფერთა გამით და მონასმებით მძაფრად შეიგრძნობა ის განცდა, რაც მთაში ყოფნისას შეიძლება დაგებადოს. იზიდავდა მთა და სოფელი, ყველაფერი რაც ბუნებრივია, წმინდა და სუფთა. აინტერესებდა უბრალო მთის მაცხოვრებლები თავისი ცხოვრების წესით. განსაკუთრებით მაღალმთიანი, სვანური და თუშური სოფლები უყვარდა. სადაც ხალხის ცხოვრება ბუნებასთანაა მიახლოებული. მის შემოქმედებაში დევს ეროვნული ტრადიციების

დიდი სიყვარული. თავისი ხალხის კულტურა მხატვარმა გაითავისა, ჩასწვდა და ფართოდ განაზოგადა. მისი სამყარო გამთბარია მთის სიყვარულით. ამდენად, ვალერი მარგიანის ნამუშევრები მნიშვნელოვანია ისტორიული-ეთნოგრაფიული თვალსაზრისითაც.

**ნიკო გოდეგაძე**,  
ხელოვნებათმცოდნეობის  
მიმართულების დოქტორანტი  
ხელმძღვანელი: სრული პროფესორი  
ნატო გენგიური

## დებნიუჯი

### სასიყვარულო ბახაოები

ჩემი ჯგუფის ხელმძღვანელმა დამავალა, რაიმე სპექტაკლი მენახა და, ასე რომ ვთქვათ, განხილვა დამეწერა. როგორც ყველა სტუდენტმა, მეც ბოლო დღისთვის გადავიტანე ეს დავალება, თუმცა, ჩემს შემთხვევაში, მიზეზი დროის უქონლობა იყო და არა სიზარმაცე. მარჯანიშვილის თეატრის აფიშას გადავხედე და ვნახე, რომ ოთხშაბათს, 15 მაისს, საღამოს 8 საათზე „პიგმალიონი“ გადიოდა. სხვა გამოსავალი არ მქონდა, არჩევანის დრო არ იყო და წავედი, მაგრამ მართალი ყოფილა – ხვალისთვის გადადებული საქმე ეშმაკისააო რომ ამბობენ; მივედი და ბილეთები აღარ დამხვდა; მაინცდამაინც ამ დღეს გაიღვიძა ქართველ ხალხში თეატრისადმი სიყვარულმა და ინტერესმა. მოკლედ დიდი დარბაზიდან მცირეში აღმოვჩნდი. სპექტაკლს „სასიყვარულო ბარათები“ ერქვა, პიესის ავტორი ალან გარნიე გახლავთ, რეჟისორი – თემურ ჩხეიძე, პიესის მთარგმნელი – თამაზ გოდერძიშვილი, მხატვარი – იური გეგეშიძე, მუსიკალური გამფორმებელი – ეთერ ზანგურიძე, მოქმედი პირები: მელისა – ნანი ჩიქვინიძე, ენდი – გია ბურჯანაძე. სპექტაკლი მოგვითხრობს ორი ადამიანის, ქალისა და მამაკაცის

სასიყვარულო მიმოწერაზე. ისინი ერთმანეთს არასდროს შეხვედრიან. ისტორია კი მათი ბავშვობიდან იწყება და გარდაცვალებით მთავრდება.

რადღა დაგიმალოთ და, რომ ვიცოდი, რისთვისაც მივდიოდი თეატრში, იმაზე უფრო დაკვირვებული და ჩასაფრებული თვალით ვუყურებდი, ვიდრე ჩვეულ დროს. რა თქმა უნდა, ჩემი შეფასება არ იქნება ისეთი, როგორც შემდგარი თეატრმცოდნის, მაგრამ ევცდები რეცენზია მომავალი კრიტიკოსის ნააზრევს მაინც დავამსგავსო.

დარბაზი ისედაც პატარაა მოგესხენებათ და ხალხიც არ ჭარბობდა, თუმცა, იმდენნი მაინც ვიყავით, რომ სუნთქვა ჭირდა. მსახიობები ან კარგად თამაშობდნენ, რადგან არავის ხმა გამიგია, არც ტელეფონის, ან უბრალოდ მიეჩვია ქართველი მაყურებელი წესრიგს.

რა მომეწონა და რა არა?!

სცენაზე თეთრი ბეწვის ნოხი ეგლო და ზედ 2 ძველებური სკამი და ერთი თანამედროვე მრგვალი მილის ფორმის სკამი იდგა (სახელი ვიცი უბრალოდ არ მინდა ბარბარიზმებით ვწერო, საკმარისად მოვისმინე სპექტაკლში). მარჯვენა კუთხეში იამაჰასთან ემოციური ქალი იჯდა და მსახიობებს სპექტაკლის უკეთ წარმართვაში მელოდიების აუღერებით ეხმარებოდა (ჩემზე უარყოფითად მოქმედებდა მისი თავის ქანქარი). სპექტაკლს „სასიყვარულო ბარათები“ ჰქვია და რა თქმა უნდა, სცენა



ფურცლებითა და კონვერტებით იყო სავსე და მსახიობების თამაშსაც დიალოგის ფორმა ჰქონდა.

გამოდის, რომ დარბაზის დეკორი არ მომეწონა, თვალს აკლდა საგანთა მრავალფეროვნება. რაც შეეხება მათ თამაშს – არც ჰო და არც არაა ჩემი პასუხი. გაზეპირებულ ტექსტებს ძალიან სწრაფად და დროდადრო უემოციოდ ამბობდნენ; არა, ფინალში ქალმა გვარიანად კი იტირა, მაგრამ არც ეს იყო მაინცდამაინც გააზრებული მანევრი. სპექტაკლი ორი საათი გაგრძელდა თითქმის და მთელი ამ ხნის მანძილზე თვალი ჯერ მარტო იმით დამეღალა, რომ მამაკაცი პიჯაკს გაიხდიდა – ჩაიცვამდა, გოგონა კაშნეს მოიხვევდა – მოიხსნიდა; და ეს ცვალებადობა თითქმის ყოველ ხუთ წუთში ერთხელ ხდებოდა; ამან ისეთი შთაბეჭდილება დამიტოვა, თითქოს სხვა საშუალება არ ჰქონდათ ემოციის გამოსახატავად.

სულ უარყოფითი შეხედულებებით რომ ავაგსე ჩემი პირველი ფურცელი, არ გეგონოთ არაფერი მომეწონა – შინაარსი და დასასრული; ცუდად კი დამთავრდა, მაყურებელთა ცრემლებსაც გაოცებული ვუყურებდი, მაგრამ მე გამართლებულ ფინალად მივიჩნიე. ახლა ავიხსნით რასაც ვგულისხმობ: ქალსა და კაცს ერთმანეთი ბავშვობიდან უყვართ, თუმცა, საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობენ და მიუხედავად ამისა, გამუდმებით მიმოწერა აქვთ ერთმანეთთან. მელისას ხატვა უყვარდა, მდიდარი იყო, ვიდრე მისი შეყვარებული, მაგრამ, როგორც ხდება ხოლმე, გარკვეული დროის შემდეგ, ენდი დიდ პიროვნებად იქცევა და შეუძლებელს შეძლებს (ესეც, ცოტა არ იყოს, ბანალურ ჩანაფიქრად მომეჩვენა). გოგონა გათხოვდება, მაგრამ მისი ოჯახური იდილია მაშინვე ირღვევა, როდესაც გაიგებს რომ ვაჟიც ცოლს შეირთავს. ნერვიულობაზე მელისა სმას დაიწყებს – გალოთდება, ქმარს გაშორდება და ბავშვებზე მეურვეობასაც ჩამოართმევნ. დიდხანს ვერ გაძლებს სასმელზე დამოკიდებული და გარდაიცვლება. ბიჭი კი მშვიდად ცხოვრობს ცოლთან

და ვაჟთან ერთად; როგორც კი გაიგებს დაღუპვის ამბავს, მაშინვე საყვარელი ქალის დედას მისწერს წერილს, სადაც წერია: „მე მართლა ძალიან მყვარებია თქვენი ქალიშვილი და ამას ახლად ვხვდები“. ადამიანებს ხომ წესად გვაქვს სინანული მაშინ, როდესაც უკვე ძალიან გვიანია. ვინ იცის, იქნებ ეს სიტყვები მას რომ თავის დროზე წაეკითხა, არც გალოთებულები და სიცოცხლეც ასე არ დაესრულებინა.


რისი თქმა სურდა რეჟისორს, ამ სპექტაკლის დადგმით, ძნელი გამოსაცნობი არაა... საზოგადოება ყოველთვის იყო და არის მატერიალური შესაძლებლობების შესაბამის ფენებად დაყოფილი; სიყვარულსაც და ბედნიერებასაც ეს უშლის ხელს, არ აქვს უფლება ოჯახისთვის „შეუფერებელ“ ადამიანს გრძნობაში გამოუტყდეს. ამის მოტანა სურდა ჩვენამდე და, გამოგიტყდებით, ამას პირველივე სცენის ჩვენებისას მიხვდებოდით.

ასე დამთავრდა სპექტაკლი, აპლოდისმენტები არ დავინანე და ფეხზეც კი წამოვდექი შემთხვევით მოხვედრილ სპექტაკლზე მისული, მაგრამ მე ჩემი ინტერესი მქონდა და მათი გაკრიტიკება აუცილებელი იყო. ბევრი ფიქრი არ დამჭირდა, წამოსვლისას უკვე ვიცოდი, რისი თქმა მინდოდა და დავწერე ის, რასაც ახლა თქვენ კითხულობთ.

**გვანცა ბიორბაძე,**

თეატრმცოდნეობის სპეციალობის  
II კურსის სტუდენტი  
ჯგუფის ხელმძღვანელი  
მიხეილ კალანდარიშვილი

# რომეო და ჯულიეტა



Алексей Дмитриевич Попов

შექსპირის შესაცნობად საჭიროა შევისწავლოთ არა მხოლოდ მისი გმირები, არამედ იმ მსახიობთა შემოქმედებაც, რომლებიც თამაშობენ ამ გმირებს. სწორედ მსახიობთა შემოქმედებას ეხება იოსებ იუზოვსკის „შექსპირის რვეული“. აქ მოცემულია ნარკვევები ისეთ მსახიობებზე, როგორებიც იყვნენ: ასტანგოვი, ბაბანოვა, ოსტუჟევი, სიმონოვი, მანსუროვა, ხორავა, ვასაძე და სხვები. რომლებიც სხვადასხვა დროს თამაშობდნენ რომეოს, ჯულიეტას, ოტელოს, იაგოს, ლირს, ჰამლეტს, ბენედიქტს და ა. შ.

რეჟისორმა ალექსი პოპოვმა სპექტაკლ „რომეო და ჯულიეტას“ პირველ აქტში მონტეკებისა და კაპულეტების ქუჩური ჩხუბის ეპიზოდში სცენაზე გამოუშვა უსახელო ბიჭი, რომელსაც მსახიობი ბორის ტოლმაზოვი ასრულებდა. ქარისგან გაწეწილი ოქროსფერი კულულები, თვალში საცემი ბედნიერი ღიმილი ერთ წუთში მთავრდება გულში გაყრილი დაშნით. ის თითქოს ახლა გამოფრინდა

დედის ბუდიდან, ახლა ჩააცვა დედამ ლამაზი ტანსაცმელი და პირველად გამოუშვა ქუჩაში სიცოცხლითა და ენერგიით სავსე. ის მიფრინავს, თითქოს ვერც კი გრძნობს ფეხქვეშ მიწას, და აი სიკვდილიც...

„უნაზესი ყვავილი, ნაადრევი ყინვის მიერ შეპყრობილი“ – ამბობს ჯულიეტას მამა ამ ყმაწვილის ცხედარზე, მაგრამ იგივეს თქმა შეიძლება რომეოზე, მერკუციოზე, პარისზე და კიდევ სხვა უამრავზე. ეს ტრაგედია ლაიტმოტივად გასდევს შექსპირის მთელს შემოქმედებას. თუმცა, საბჭოური თეატრი ამაზე შეგნებულად ხუჭავს თვალს, მას თითქოს ვერონის ცისფერი ცა და რენესანსის გამჭვირვალე ჰაერი უფრო ხიბლავს. მისი ყურადღება უფრო კაპულეტის ბაღებში მოსეირნე წყვილებს მიეპყრო, ვიდრე ცხოვრებისეულ ტრაგედიებს. თვით კაპულეტის საძვალეც კი არ არის ისეთი პირქუში და შემზარავი, როგორც ჯულიეტას წარმოედგინა. ის ერთი ლამაზი არქიტექტურული კომპოზიციაა, რომელიც გაიძულებს დაივიწყო მისი დანიშნულება. მოკლედ, საკმაოდ სიმპათიური საძვალეა. მხოლოდ ბოლოს ისმის ჯაჭვების ღრჭიალი, როდესაც შიგ გადარეული რომეო შევარდება და ჩაბნელებულ სცენაზე გამოჩნდება შავი ლანდები, რისაც ჯულიეტას ყველაზე მეტად ეშინოდა სანამ დასაძინებულ წამალს დაღევდა.

თეატრი აქ აშკარად სცოდავს. ის უპირატესობას ანიჭებს ისტორიას და არა ორი ადამიანის დრამას, რომელთა სიყვარულს შეერთება არ უწერია. პოპოვისეული ეს ისტორია სავსეა გაუგებარი ოპტიმიზმით, ნათელი ფერებით, მომხიბვლელობით, თითქოს უნდა შექსპირის გათავისუფლება შუა საუკუნის სიბნელისა და ბარბაროსობისაგან.

ასეთ ფონზე თუ განვიხილავთ იმ პერსონაჟს, რომელიც ასახავს სპექტაკლის სტილს ეს არ იქნება ლორენცო, არც რომეო და არც ჯულიეტა, ეს შეიძლება იყოს



**Михаи́л Фёдорович  
Аста́нгов**



**Мари́я Ива́новна  
Баба́нова**

მხოლოდ ჰერცოგი, რომელიც სულ სამჯერ გამოდის სცენაზე. მას ბრწყინვალედ თამაშობს შაგინი. ჰერცოგი გამოდის როგორც ახალი წესების რწმუნებული. ის არის სპექტაკლის კომპოზიციური ცენტრი, რომელიც იშვა ორი ერთმანეთის გამანადგურებელი ძალების დაპირისპირების შედეგად (ტიბალტი და მერკუციო). ტიბალტი ბოროტი და პირქუში სულია. ის თვით ცხოვრებამ მოიკვეთა. მან იცის, რომ ბევრი აღარ დარჩენია და ცდილობს მაქსიმალური ზიანი მიაყენოს მოწინააღმდეგეს. მის სულში აღარ არის სიყვარული, აღარც მეგობრობა, მხოლოდ სიძულვილია. მერკუციო გაუნათლებელი, უხეში და უღირსი ადამიანია, ის დასცინის ყველანაირ გრძნობას, სიზმრებსა და წინათგრძნობებს. მიუხედავად იმისა, რომ რომეო მზად არის შეურიგდეს ტიბალტს, მერკუციო ძალიან აგრესიულია მის მიმართ. რატომ? ის ხომ არ ეკუთვნის არცერთ მეომარ გვარს. ის მხოლოდ ჰერცოგის ნათესავია და მეტი არაფერი. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ტიბალტი თავით-ფეხებამდე დიდგვაროვანია და

ეს მერკუციოს ძალიან აღიზიანებს. მერკუციოში აქ რენესანსის სული ბობოქრობს და მსახიობი მთლიანად გამოხატავს შექსპირის განწყობას. აღსანიშნავია რომ რენესანსის ეპოქამდე თეატრი წარმოადგენდა ყოფით, მდაბიო სანახაობას, რომელიც თავისი მიწიერი ბუნებით მთლიანად მოტივირებული იყო კომერციულ მოგებაზე. ამისთვის თეატრი მიდიოდა ყველაფერზე. შექსპირის შემოსვლა თეატრში სწორედ რომ დროული იყო. ეს იყო რენესანსის პირველი მერცხალი. მიუხედავად შექსპირის ასეთი ზეციურობისა რეჟისორები მაინც ცდილობენ მის მიწიერად გარდაქმნას, მისთვის ფეთქებადი ფერებისა და ყოფითი არომატის მინიჭებას. მაგ., იმ სცენაში, სადაც რომეო მეჯლისზე იმყოფება, ის გამოაწყვეს დათვის ფორმაში. სად რომეო და სად დათვი. ეს დახვეწილი შეყვარებული, თავზახელაღებული ხასიათით, უცებ გახადეს ბაჯბაჯა დათვი, ამას ემატება გაშიშვლებული ბიჭის სკულპტურა აუზთან, მსახურების მხიარული ინტერმედიები. ყოველივე ამას

სპექტაკლი მიწიერად უნდა გადაექცია.

შეიქმნა სპექტაკლი, – დიდი, ფართომასშტაბიანი ტრაგედია. ალექსი პოპოვმა და ილია შლეპიანოვმა შექმნეს ბრწყინვალე სპექტაკლი. მაგრამ უყურებ ამ წარმოდგენას და გრძნობ, რომ რაღაც აკლია, რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი, შექსპირისეული. სურათს სურათი ცვლის. ტიბალტი მოკლეს, მერკუციოც აღარ არის ამ ქვეყანაზე, ტრაგედია კი ძალებს იკრებს, რომ ჩაითრიოს მაყურებელი მთავარ მორეჟში, რომელსაც რომეოსა და ჯულიეტას სიკვდილი ჰქვია. მაგრამ რა გამორჩა რეჟისორს? ყველაზე მთავარი – სიყვარული. დიახ, რომეოსა და ჯულიეტას სიყვარული, ასევე ძიძის სცენა. შექსპირის მიხედვით, ჯულიეტა აღმერთებს ძიძას, ძიძა მისი გულისთვის ჯოჯოხეთში გადავარდება, სცენაზე კი ყველაფერი სხვაგვარადაა. კი, ძიძას უყვარს ჯულიეტა, მაგრამ, ეს სიყვარული თანაბრად აქვს განაწილებული რომეოზე, მერკუციოზე, სენიორ კაპულეტიზე, მათ შორის ის განსხვავებას არ აკეთებს. და განა შექსპირს ასე აქვს? ძიძა ჯულიეტასთვის დედაზე ძვირფასია, სპექტაკლში კი იმასაც ვერ დაიჯერებ, რომ ჯულიეტა ამ ქალის გაზრდილია. აქ ძიძა ერთი ეგოისტი ქალია, ის პრაქტიკულ რჩევებს აძლევს ჯულიეტას, ხმის ამოდებასაც მხოლოდ ის გაბედავს ჯულიეტას მამის მრისხანების დროს, დაღუპულ ჯულიეტასაც მწარედ გლოვობს, მაგრამ ყოველივე ამაში ეგოიზმი იკვეთება. არადა მსახიობ პიუოვის (ძიძა) ნიჭი სავსებით ეყოფოდა ამ პერსონაჟის შექსპირისეულ თამაშს, ეს ხომ ძალიან გაამდიდრებდა სპექტაკლს.

რომეოსა და ჯულიეტას სიყვარულიც არაა ხარვეზების გარეშე; რომეოს სიყვარული ეჭვიანობითაა სავსე, ჯულიეტა, რა თქმა უნდა, შეყვარებულია, მაგრამ რაღაც გარკვეულ ზღვრამდე და როგორც კი ამ ზღვარს უახლოვდება, შეშინებული გარბის.

სპექტაკლის შემდეგ მთავარი დარტყმა ასტანგოვმა (რომეო) მიიღო. ის არც რომეო იყო და არც შექსპირი. ის მართლაც რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა. მან უნდა

გადმოსცეს ვნება, შიშველი გრძნობა, ის კი ეძებს რაღაც შინაარსს, რაღაც რაციონალურს, და როგორც კი პოულობს – ხარბად ებლაუჭება მას. ის ყველგან ეძებს აზრს, აღრმავებს მას. ასტანგოვი უარს ამბობს შექსპირის დახმარებაზე და თვითონ ქმნის თავის გმირს, და აი, დარბაზიდან უკვე ისმის თანაგრძნობისა და სიმპათიის ხმები. აქ მეტი გრძნობა და გულწრფელობაა საჭირო, უფრო ზუსტად – მიაშიტობა. აი ეს არის შექსპირი. ასტანგოვს სურს გაიგოს რატომ დასდევს მის გმირს სიკვდილის აჩრდილი. მიდის დიდ რისკზე, შეიძლება გაემიჯნოს შექსპირის რომეოს, მაგრამ მისმა რომეომ უნდა იცოდეს რატომ არის განწირული. ასეთ კრიტიკულ წუთებში მას სწორედ შექსპირი ეხმარება. ხანდახან რომეოს მონოლოგი ჰამლეტის მონოლოგს უფრო ჰგავს, ამ დროს ის ერთი მიაშიტი და გულანთებული შეყვარებული კი არ არის, არამედ ამცხოვრების ჭირვარამგადაყრილი ჰამლეტი. ჰოდა ასტანგოვიც ჩაებლაუჭა ამ დახმარებას და აღარც უშვებს ხელიდან სპექტაკლის ბოლომდე.

და აი ასტანგოვი – რომეო და ჯულიეტას წინაშეა. მთვარე ანათებს კაპულეტის ბაღს, ბუღბუღლები გალობენ, მეტი რა უნდა უნდოდეს შეყვარებულს, მის წინ ხომ ჯულიეტაა. მეტი გრძნობა, მეტი ემოცია, მეტი თავგანწირვა; ასტანგოვი კი უკან იყურება, ლაპარაკობს სიყვარულზე, მაგრამ მისი ფიქრები სხვაგან დაჰქრიან, ბედნიერების საშუალებას არ აძლევენ. მსახიობს ავიწყდება, რომ ირგვლივ სამხრეთის არომატული ღამეა, რომელიც ვერ იტანს მესამეს, ზედმეტს. ასტანგოვი დამარცხდა. მაგრამ ეს პატიოსანი და ძალიან ნაყოფიერი დამარცხებაა. აქამდე რომეოს სახელი ასოცირდებოდა „ტენორთან“, ასტანგოვმა მას სხვანაირი შეფერილობა მისცა და რაც შექსპირის რომეომ არ დაიმსახურა, ეს ასტანგოვის რომეომ შესანიშნავად გაარკვია.

ბაბანოვას ჯულიეტაც შემოდის სცენაზე, ეს არის უმანკო ქმნილება, რომელიც ოდნავ თუ ეხება დედამიწას სიარულის დროს, საოცრად დაუცველია

ამ ცხოვრებისეული ქარიშხლების წინაშე, რომელიც სულ მალე წააგდებს მას, მაგრამ ეს შექსპირის მიხედვით. ბაბანოვას ჯულიეტა მტკიცედ დგას სცენაზე, კი ფარფარებს როგორც როლი მოითხოვს, მაგრამ იმავდროულად მყარად დგას. აბა სცადე და დასძარი, როდესაც ძიძა პატარა ბავშვივით წაუთაქუნებს უკანაღზე, ის შეცბება და გვერდზე გახტება, მაგრამ ამ შეცბუნებაში უფრო ცელქობაა, ეს ძალიან მიწიერი უსტია და ხელს უშლის მის „ღვთაებრიობას“. მართალია ჯულიეტა ჯერ მთლად ბავშვია, მაგრამ მისი ხასიათი უკვე გამოკვეთილია და ჭირვეული. ის ძალიან კრიტიკულად უყურებს ყველას და შეიძლება ეს ბაბანოვას უნებლიედ გამოსდის. ის ნაზად ეუბნება რომეოს: „ჩემო ძვირფასო, იყავ ერთგული“, ქვეტექსტი კი ასეთია: ჭკუით მოიქეცი, თორემ მე შენ გიჩვენებ!


ბაბანოვა, შესაძლოა, თავისი ყოფილი როლების გავლენით პოეტურად ასახიერებს ჯულიეტას – როგორც მოსიყვარულე, ერთგულ და ნაზ შექსპირისეულ გმირს; კაპულეტის სცენა სავსეა პოეზიით. ჯულიეტა საუბრობს ნაზად, გარკვევით,

იცის, რომ მალე გათენდება და დღე მოიტანს ბევრ მნიშვნელოვან სიახლეს, რომ ის უბიწო აღარ იქნება და ცდილობს უკან დაბრუნდეს. მაგრამ ის უკვე შეიცვალა, მასში იფეთქა საწყისმა და გახდა ქალი. ასეთი ცვლილებები ტრაგედიებში განსაკუთრებულ როლს თამაშობენ, შექსპირს ეს ცვლილება დასჭირდა, რომ ჯულიეტა მოემზადებინა ფინალური აქტისთვის. უბიწო ქალიშვილი იმას ვერ გააკეთებს, რისთვისაც ბედისწერამ ჯულიეტა გაწირა.


კრიტიკამ ბაბანოვის თამაშის სუსტ მხარედ აღიარა ის სერიოზული სცენები, როდესაც მამა აიძულებს გათხოვდეს პარისზე, როდესაც თავის ძიძას „დაწვევლილ მოხუცად“ და „მაგნე ეშმაკად“ მოიხსენიებს, როდესაც მკვლელობის შემდეგ მძიმე ფიქრებშია გართული, მაგრამ ეს იყო ზღვრული ბაბანოვას ნიჭისა და ბოლომდე ვერ ამაღლდა შექსპირის გმირამდე.

**ნუცა კობაიძე,**  
თეატრმცოდნეობის სპეციალისტი,  
IV კურსის სტუდენტი

### ფარნაოზ ლაპიაშვილი (1917-1994)



ფარნაოზ ლაპიაშვილი დრამატულ თეატრში სრულიად ახალგაზრდა მივიდა. 1941 წელს, ჯერ კიდევ თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტმა, თავის თანაკურსელ, შემდგომში სახელგანთქმულ მხატვარ იოსებ სუმბათაშვილთან ერთად, გორის თეატრში გააფორმა ვ. შალიკაშვილის პიესის საფუძველზე დადგმული სპექტაკლი „უნიადგონი“, 1944 წელს კი, კვლავ ი. სუმბათაშვილთან ერთად, მარჯანიშვილის თეატრში – ლ. გოთუას „დავით აღმაშენებელი.“ ამ დროიდან იგი თეატრს არ მოშორებია, მას ემსახურებოდა მთელი არსებით სიცოცხლის ბოლომდე. ფარნაოზ ლაპიაშვილისა და იოსებ (ქოზეფ) სუმბათაშვილის – ამ ორი დიდებული მხატვრის – შემოქმედებითი




ურთიერთობა მომავალშიც გაგრძელდა. მათ ერთობლივად იმუშავეს ფილმებზე „ქეთო და კოტე“ და „ცისკარა.“ ფარნაოზ ლაპიაშვილის კინომხატვრობაზე საუბრისას აუცილებელია აღინიშნოს მისი კიდევ რამდენიმე შესანიშნავი ნამუშევარი – „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ!“, „ღონ კიხოტი“ და „მიიღეთ გამოწვევა, სენიორებო!“ (კ. გოლდონის „სასტუმროს დიასახლისის“ მიხედვით)

მაგრამ ფარნაოზ ლაპიაშვილის სტიქია სასცენო ხელოვნება იყო მუდამ, წარმოდგენის მხატვრული გაფორმება, სცენოგრაფია. 100-ზე მეტი სპექტაკლისათვის შექმნა სცენური სამყარო მრავალ სხვადასხვა თეატრში. აფორმებდა წარმოდგენებს გორის, სოხუმის, ბათუმის, ჭიათურის, ქუთაისის, მესხეთის, თბილისის მოზარდ მაყურებელთა, მუსიკალური კომედიის, ოპერისა და ბალეტის, გრიბოედოვის, მარჯანიშვილისა და რუსთაველის, აგრეთვე – ლენინგრადის, მოსკოვის, კიევის, ტაშკენტისა და კიშინიოვის თეატრებში.

შემოქმედებითი ძიებებით აღსავსე ცხოვრებაში მხატვარი არაერთ

შესანიშნავ რეჟისორს შეხვდა: ვახტანგ ტაბლიაშვილს (ლ. გოთუას „დავით აღმაშენებელი“), ვასო ყუშიტაშვილს (ბომარშეს „ფიგაროს ქორწინება“), გიზო ჟორდანიას (კ. გამსახურდიას „ხოგაის მინდია“), მიხეილ თუმანიშვილს (ი. ფუჩიკის „ადამიანებო, იყავით ფხიზლად!“, ბ. ნუშიჩის „ფილოსოფიის დოქტორი“), ყველაზე მეტად კი – დიმიტრი ალექსიძეს (მ. მრეველიშვილის „ბარათაშვილი“, გ. სუნდუკიანის „პეპო“, ა. დიუმანუასა და ფ. დენერის „ღონ სეზარ დე ბაზანი“, სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“ და „ანტიგონე“, დ. გაჩეჩილაძის „ბახტრიონი“, გ. ნახუცრიშვილის „ფიროსმანი“, ბ. ბრეხტის „სამგროშიანი ოპერა“, ფ. შილერის „ღონ კარლოსი“).

„მეგობრობა მხატვარს, ათეული წლების მანძილზე მითანამშრომელია რეჟისორ დოლო ალექსიძესთან და მრავალი სიხარული და ბედნიერება გამიზიარებია მასთან ერთად. მონაწილე ვყოფილვარ მის მიერ სცენაზე განხორციელებული და აღიარებული მრავალი სპექტაკლის წარმატებისა. მას სჯეროდა და სწამდა მხატვრობისა საერთოდ, და მისი



სასწაულუნარიანობისა სცენაზე, კერძოდ, ტენდენციურობამდეც კი არ კვებავდა და არ აკნინებდა მის საშუალებებს და ზემოქმედების უნარს, რაც მხატვრობის, როგორც უკეთილშობილესი მუხის, შეურაცხყოფა იქნებოდა. პირიქით, დოღო ალექსიძე ააქტიურებდა კიდევ სცენოგრაფის ფუნქციას და მას აზრისა და სცენური სივრცის მათორგანიზებელ ფაქტორად ხდიდა. ამიტომაც ჰქონდა მის სპექტაკლებში მხატვრობას დიდი ემოციური დატვირთვა და მხატვარს – რეჟისორის თანაავტორის მაღალი რეპუტაცია.“

ასე წერდა ფარნაოზ ლაპიაშვილი დიმიტრი ალექსიძის შესახებ. მის მოსაზრებებში იკვეთება არა მარტო დიდი სიყვარული, მოწიწება და პატივისცემა ბრწყინვალე რეჟისორის მიმართ, არამედ მისი შეხედულება თეატრზე, სცენოგრაფიაზე, წარმოდგენის დამდგმელისა და მხატვრის შემოქმედებით ურთიერთობაზე. დიმიტრი ალექსიძესა და მიხეილ თუმანიშვილს მიაჩნდათ, რომ ფარნაოზ ლაპიაშვილი

აშკარა სარეჟისორო მონაცემებით იყო დაჯილდოებული..

ყველა თავის საუკეთესო სპექტაკლში ფარნაოზ ლაპიაშვილი ქმნიდა არა უბრალოდ სასცენო მოქმედების ადგილს, არამედ – მის მხატვრულ სახეს. კოსტიუმის ესკიზის შექმნისას, მხატვარი წარმოაჩენდა პიესის პერსონაჟის ხასიათს და ამავე დროს, მისი განმახორციელებელი მსახიობის ინდივიდუალობასაც. თანაც იგი მხოლოდ ცალკეული პერსონაჟის ჩაცმულობას კი არ ქმნიდა, არამედ კოსტიუმების მთელ ფერადოვან ანსამბლს. ფარნაოზ ლაპიაშვილი ხომ, თავის სცენოგრაფიაში, უპირველეს ყოვლისა, ფერმწერი იყო.

ფარნაოზ ლაპიაშვილი სცენაზე მხატვრულ სამყაროს ქმნიდა და წარმოდგენის სხვა შემქმნელებთან ერთად, სპექტაკლის სრულყოფილებიან თანაავტორად გვევლინებოდა. მანროგორც შესანიშნავმა მხატვარმა, სცენოგრაფმა და არაჩვეულებრივმა პედაგოგმა თავისი განსაკუთრებული, ღირსეული სიტყვა თქვა ქართულ სახვითსა და სასცენო ხელოვნებაში.

**მანანა გუგუშვილი,**  
თეატრმცოდნე